№ 82
ხუთშაბათი, 20 აპრილი 1895

1877—1895

ივერია

№ 82
ხუთშაბათი, 20 აპრილი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზოვის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ბაზეთის ღირს:

	მან.	კ.		მან.	კ.
თვე			თვე		
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის რედაქციისაგან.

მოგვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი ბაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგენოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ მაისის ექვსს, დილის ათს საათზედ, შესდგება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. კრებას განხრახვა აქვს განიხილოს: ა) შეძენა არარუნისეულის მამულისა; ბ) სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სახელმწიფო განყოფილების ორის წევრისა და მათის კანდიდატების ამორჩევა; გ) სჯა-ბაასი ოძისის მამულის შესახებ, რომელიც ირუკა თავადმა ზაქარია ერისთავმა თავად-აზნაურობას და დ) ტფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის წარმომადგენლობაზედ.
(3—6—2)

ქალაქ ტფილისის საბჭო ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ტფილისის. გუბერნატორმა 13 აპრილს 1895 წელს დამტკიცა ტაქსა, რომლითაც ეოკზალიდან ქალაქში წამომსვლელნი ფაეტონში გადაიხდიან 60 კაპ. თხუთმეტის შაურის მაგიერად, რომელიც დღემდის ერთმეოდათ.
(3—6—2.)

ფელეტონი

საშინელი ბრძოლა.

კომედია 5 მოქმედებად

(ეუძღვნა ქართველს ქალებს)

მოქმედნი პირნი:

მიზარბეგ იზმაილიძე—მოხუცებული თავადი.
მაია—ამისი ცოლი.
მენიკო—ქალი ამათი.
ტიფო—ვაჟი ამათი.
ბეეგ იზმაილიძე—მიზარბეგის ძმა.
სოფიო—ცოლი ამისი.
ვალიკო—ვაჟი ამათი, ჯერ გიმნაზიაში ახალი კურს-დამთავრებული, მერმეთ ექიმი.
მელიტონ ეგრიშვილი—სტუდენტი.
ვარლამ ელიაძე—ადვოკატი.
მაკრინე ჟორდანიძისა — ახალგაზდა კნეინა.
კონდრატე ბახრახაძე.
სევასტი—სამსახურს გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი.
სარდიონი, ვარდენი, ირაკლი } ახალგაზდა თავადები.
არჩილი—მიზარბეგის ძველი მოსამსახურე.
ვარდო—იმისივე ახალგაზდა მოსამსახურე ქალი.
თადეოზა—ელიაძის მოსამსახურე.
ᲛᲣᲨᲐᲠᲑᲘ, ᲚᲐᲥᲘᲔᲑᲘ, ᲛᲔᲖᲣᲠᲜᲔᲑᲘ.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცხადებს ბ-ბთ დამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთა სეყურადღებოდ, რომ ბანკის წესდების § 82 მუხლის ძალით საზოგადო კრება დანიშნულია ამა 1895 წ. 9 მაისს, დილით 10 საათზედ, საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის სახლში, სასახლის ქუჩაზედ.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

1. განხილვა და დამტკიცება ბანკის წლიურის ანგარიშის 1894 წ.
2. მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ შეიცვალოს საზოგადო კრებები წარმომადგენელთა კრებით.
3. მოხსენება იმ შუამდგომლობათა შესახებ, რომლებიც ბანკის ბმართველობამ აღძრა წარსულის წლის საზოგადო კრების დადგენილებათა ძალით.
4. განხილვა და დამტკიცება ბანკის მმართვის ხარჯთ-აღრიცხვისა 1895 წლისა.
5. მოხსენება სასამართლო საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.
6. მოხსენება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იქმნას განაწილებული საზოგადო-სასარგებლო კაპიტალი, რომელიც წმინდა მოგების 35%-დგან შესდგება.
7. არჩევანები: მმართველობის ერთის წევრისა, თავ. დავით ივანეს ძის ავალიშვილის მაგიერ, რომელსაც წევრობის ვადა გაუვიდა, იმის კანდიდატისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა ანტონ ნიკოლოზის ძის ფურცელაძისა და თავ. გრიგოლ სარდიონის ძის ციციშვილის მაგიერ, რომელთაც ვადა გაუვიდათ და ამათის ორის კანდიდატისა.

ამასთანავე ერთად ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს ზემოხსენებულის ბანკის ბ-ბთ თამფუძნებელ წევრთა და მსესხებელთ, რომ რწმუნების ქაღალდები საზოგადო კრებაზედ მონაწილეობის მიღებისა ამა წლის 2 მაისს იქით ალარ მიიღებიან.
(3—6—2).

შემოწირულება

„ბრთველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამარ. ლატარია-ალეგრის კნეინა ნატალია ვეტანი ასულმა ამორეკიბისამ შემოწირა: ნაფეარი ოქროსნი ყავის ფინჯანი თავისის ლმობაქებით, ერთი მურაბის ბრილის თეფში, ერთი ტოლის ჭიქა, ორი წყვილი ᲣᲬᲗᲐᲛᲐᲯᲝᲜᲘ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲪᲚᲘᲡᲐ, ᲝᲥᲠᲝᲨᲘ ᲓᲐᲤᲐᲤᲣᲚᲘ.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 20 ᲐᲠᲘᲚᲘ.

ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲡᲐᲮᲚᲔᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲝᲡ ᲡᲐᲠᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲝᲡᲘᲡ ᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲔᲓᲐ ᲡᲐᲔᲥᲘᲛᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲣᲚᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲛᲘᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜ ᲬᲘᲜᲐ ᲡᲓᲒᲐᲡ 21—22 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲛᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ: ᲛᲘᲡᲘᲜ ᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘᲜ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲒᲠᲒᲕᲘᲜᲐᲗᲐ, ᲡᲯᲔᲓᲐ, ᲪᲐᲡ ᲨᲔᲡᲩᲘᲡ, ᲮᲐᲜ ᲘᲡᲔ ᲛᲘᲜᲐᲖᲔᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲣᲜᲔᲑᲘᲔᲓ ᲚᲛᲝᲑᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲬᲔᲢᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲜ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲛᲝᲑᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲖᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲛᲝᲑᲘᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲐᲖᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲠᲛᲔ ᲛᲘᲜᲓᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲛᲝᲑᲘᲝᲠᲘ ᲓᲐᲠᲘᲡᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲖᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲩᲕᲔᲜᲗᲐ ᲛᲘᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲘᲠᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲣᲚᲑᲘ

1893 წელს, ხოლერობის დროს, როდესაც აღმოჩნდა ექიმთა ნაკლებობა, საზოგადოებას იმედი მიეცა, რომ ქალთა საექიმო კურსების გახსნის საქმე მალე განხორციელდებოდა და მას შემდეგ, ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში „ლაპარაკობდნენ ხოლმე კურსების დაარსებაზედ, მაგრამ ყოველთვის აღმოჩნდებოდა, რომ „ლაპარაკი საქმედ ჯერ-ჯერობით არ იქცეოდა. ამ ჟამად-კი ცხადია, რომ საზოგადო სურვილი მალე დაკმაყოფილებულ იქნება და წელს შემოდგომისთვის პეტერბურგში გაიხსნება „დედათა საექიმო ინსტიტუტი.“ ხმა არის აგრეთვე, რომ, რადგანაც მოსალოდნელია ინსტიტუტებში შესვლის მსურველი დიდძალი ქალი იქნება უნივერსიტეტებშიაც შესვლის ნება დაერთვებოთ. ამგვარად რუსეთშიაც ძლივს-ძლივობით განხორციელდება ის საჭირო საქმე, რომელმაც განათლებულს ქვეყნებში ფეხი მჭიდროდ უკვე მოიკიდა.

ჩვენს სამშობლოს საჭიროების მიხედვით ორი საკითხი იბადება გასარჩევად. საჭიროა თუ არა ქართველ ქალებისთვის უმაღლესის სწავლის შეძენა და თუ საჭიროა—ისარგებლებენ ჩვენი ქალები იმ შემთხვევით, რომელიც ჩნდება ახლა რუსეთში?!

პირველ საკითხზედ, ჩვენის ფიქრით, არც ღირს დაფიქრება. ჩვენს დროს და ჩვენს ქვეყანას სჭირია კარგად განათლებული და ყოვლით შეიარაღებული შვილი, ხოლო ნამდვილ აღზრდილს და კარგად განათლებულს თაობას ჩვენ იქამდე ვერ ვეღირსებით, სანამ ნამდვილად განათლებული დედათა თაობა არ გვეყოლება. რომ ქალმა კარგად შეასრულოს პოეტის მიერ დასახული მოვალეობა შვილის აღზრდის შესახებ, რომ წინა ჰქონდეს ქეშმარიტება და უკან

რო მეტი სიდინჯე, სიმშვიდე და მორჩილებაო“... შენმა ბიცოლამ თვალ-ცრემლიანმა ამას დასძინა: (ჭაბაჯს) „ვისურვებ, შვილო, შენთვის ხასიათის გამოცვლას:—ნამეტარი ჩქარი და ფიცხელი ხარ—ქვეყანა დაგზრახავსო“...

მენიკო. დეე, რაც უნდათ, ისა სთქვან! შენ ამას რას დასდევ? არა ერთხელ გითქვამს შენ ჩემთვის: საზოგადოების უსაფუძვლო აზრი ჩიროდაც არ მიღირსო!..

მელიტონი. მითქვამს და კიდევ გაგიმეორებ და შენც გთხოვ, ჩემო მენიკო, ამ აზრით იხელმძღვანელო ცხოვრებაში. ნუ თუ გგონია, შეუშინდე მე ბეჟანის ან მისი თანამოაზრე ცოლის აზრს?! არა, სრულიად არა! ჩემთვის მოულოდნელი არ იყო იგი... თავგასულის და დაუცხრომელის სახელს მე თავ-მომწონედ ვატარებ აწ ქვეყნად და... (ნამეტანი ალეკვების გამო სიტყვის გაგრძელებას უშნოდ ბ).

მენიკო. (სიცილით) ოჰ, ჩემო კარგო მასწავლებელო, რა საუცხოვო იქნებოდი ჩაკეის როლში: მაყურებლები სულ ხელის გულებს დაიწითლებდნენ შენს გამოსაწვევად!..

მელიტონი. ნუ დამცინი, მენიკო! ჩაკეები რომ ქვეყნად არ გაჩენილიყვნენ, საზოგადოების ცხოვრებას ხავსი და ობი მოეკიდებოდა... ის დაემზგავსებოდა მყრალს, დაგუბებულს ტბას, ბაყაყებით და ჯოჯოებით სავსე!... ჩაკეი საზოგადოებისთვის იცი

კვალი განათლებული, საჭიროა თვით იყოს ნამდვილი განათლებული. ყოველ საზოგადო დანიშნულების ასრულებისათვის საჭიროა უმაღლესი სწავლა-განათლება. კერძოდ საექიმო სწავლა ჩვენს ქვეყანას ძლიერ გამოადგება. არა ერთხელ გვითქვამს, რომ ქართული სოფელი სრულიად მოკლებულია სწავლულ ექიმთა დახმარებას, შემდეგ ისიც ყურადღებაში მისაღებია, რომ არსებობს ქალთა მრავალი ავადმყოფობა და მორცხვობის გამო ქალს ვერც-კი გაუმხელია მამა-კაც ექიმისათვის თავისი გაჭირვება, უნდა მივიღოთ აგრეთვე მხედველობაში არსებობისთვის ბრძოლა, რომელიც დღითი-დღე უფროდა-უფრო მწვავდება. თუ ყველა ამაებს დავუფიქრდებით—დავრწმუნდებით, რომ, როგორც სხვა განათლებულ ერთა მოთხოვნილებად გარდაიქცა ქალების განათლება, ისე ჩვენთვისაც ფრიად საჭირო და სასარგებლო იქნება ეს საქმე. ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მოზარდი ქართველ ქალთა თაობა უთუოდ ისარგებლებს იმ შემთხვევით, რომელიც მას ნებას აძლევს უმაღლესი სწავლა შეიძინოს. მართალია ეს საძნელოა ბევრის მიზეზისა გამო, მაგრამ მხნეობა, ენერგია და მეცადინეობა ყოველს დაბრკოლებასა სძლევს. სხვა ერთ არ მოვიხსენიებთ და თუ რუსთა და სომეხთა ქალებმა შეიძლეს და უმაღლესის სწავლის შესაძენად უცხოეთის უნივერსიტეტებსაც-კი მიაგნეს და აავსეს, ვის უნდა დაებადოს ეჭვი, რომ ქართველი ქალი იმდენსაც ენერგიას და მეცნიერებისადმი სიყვარულს ვერ გამოიჩენს?!

ლალი.

ახალი ამბავი

—

*** ამას წინად ტფილისში გარდაიცვალა ტფილისის კათოლიკეთა მოძღვარი პეტრე მეუდლიშვილი, ღრმად მოხუცებული, დიდად მოყვარე ქართულის ენისა და მწიგნობრობისა და ზედ-მიწევნით კარგად მცოდნე საქართველოს ძველის ისტორიისა. ეს მოხუცი მოძღვარი დიდად პატივცემული იყო თავისის მრევლისაგან და სხვანიც დიდს პატივსა-სცემდნენ განსვენებულს. ახლა, როგორც შევიტყეთ, მას დარჩენია ათას-ექვსასის თუმნის მომგებიანი ბილეთები. ამ ფულიდგან განსვენებულს 11,000 მანეთი უანდერძნია ტფილისისა და ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიებისათვის, სადაც მათი შვილები სწავლობენ.

დაფარულებითი ამბავი ამის შესახებ ჯერ არა ვიცით-რა და სასურველია, უფრო დაახლოვებით გავიგებდეთ ამ ამბავს.

*** პლ. იოსელიანის-მიერ აღწერილის „მეფე გიორგის ცხოვრებისა“ ანუ საქართველოს რუსეთთან მეკავშირების ისტორიის დასაბეჭდად მიღებულ იქმნა შემდეგთაგან ფული, რომელიც გარდაეცა გამომცემელს ზ. ჭიკანაძეს:

დათიკო ნინოწმინდელისაგან სამის წიგნისა, ილიკო ამილახვარისაგან ექვსის წიგნისა, სოლომონ ტუსიშვილისაგან 1 წიგნისა და შიო ქეშუკაშვილისაგან 6 წიგნისა. ხელის-მომწერთა სია წიგნის ბოლოს იქნება დაბეჭდილი.

*** კავკასიის სამხედრო ოლქის მიმართ ბრძანებაში მოყვანილია შემდეგი: „გმირული საქციელი ლაბინის პოლკის ჯარის-კაცებისა“: ასისთავმა

მაშინ, როდესაც ისინი მუსრს აყრიან მთელს ქვეყანას, გულ-უბრყვილო მამულის შვილნი გულის სიტკბით, ნიშნად უღრმესის მადლობის და პატივისცემისა, მათ ხელს ულოკავენ..... ეს ვაჟბატონები ჩვენისანა ბალღებს გაოგზავნა ჰპირდებიან, ყელში ებჯინებათ სისხლი ჩვენისთანა ბალღების დანახვაზედ, სახელის ხსენებაზედ. რისთვის? მისთვის, რომ ამ თავხედმა ბალღებმა გაბედეს ბუკის დაკვრა ღრმად მიძინებულ ქვეყნის გამოსაღვიძებლად... დაჰგეს მათ ქვეყნის ვანცხრომა, უზრუნველად და ნებიერად ყოფნა; განახლების შუქის მოფენა მოიწადინეს ის, სადაც უწინ ხავსი და ობი აყო. განა ეგ უბედურება არ არის გაიძვერა ვაჟბატონებისთვის?! განახლებული, გონებით გამოფიზლებული საზოგადოება ხომ ნათლად დაინახავს მათს გაიძვერობას! ხომ დარწმუნდება ეს საზოგადოება, რომ ის კაცები, რომელნიც დღემდის მხსნელად მიჩნდა, თურმე მისი მოსისხლე მტერები ყოფილან; ხომ მოეღება მაშინ ბოლო მღვრიე წყალში თევზების ეერასს!.. ეგ არის სავალალო და სატირალი მადა-აშლილ ვაჟბატონებისათვის... ჩემისთანა ბალღებისთვის-კი ის არის სატირალი, რომ სწავლის და განათლების იარაღით აღეჭურვილნი კაცები, რომელთაც თანა-მოაზრედ ვიგულებდით, დღეს განდგომიან ქვეყანას და მის უმეცრებაზედ ხელს ითბობენ!... სამწუხარო ის არის, რომ ისეთს კაცს უნდა გაუმკლავდე სასიკვდილოდ, რომელიც სულით და გულით შენი უნდა იყოს, რომელიც შენთან ერთს დროშას ქვეშ, ერთის მიზნისთვის საზოგადო ტკბილ უნდა ებრძოდეს!.. სამწუხარო... გულ-სასკლავია... მაგრამ არა უშავს რა! ეს ასე ყოფილა ყველგან და ასეც იქნება!.. მაგრამ ჩვენ, ბალღებს, სხვის გულ-ცივობით და ურწმუნობით მისწრაფება უკეთეს მერმისისადმი არ დაგვიხრება, და სანამ გულში (დაიგრაგს გულზედ სელს) გვყავს ამირანი, თავს ვერ მოგვახრევინებს სხვის წინაშე თვით შეერთებული ძალა ცისა და ჯოჯოხეთისა!

მენიკო. აბა, ჩემო ძვირფასო მასწავლებელო, მიჩკენე, სადა გაკვეს ეგ ამირანი? (გულზედ მიადებს თავს და ირონიულად იღიმებს).

მელიტონი. (ფოფაზე სელს მიუბრტყელებს) კარგი, შე ცელქო შენა! ცხლა ხომ დარწმუნდი, რომ ჩემს გულში ამირანია?

მენიკო. ჰო, მართლა, მართლა! კავკასიის მთაზედ მიჯაჭვულს ამირანს თავი ეუშვია და შენს გულში მოთავსებულა... მის ცეცხლით ეხლა შენ გული საკირეკავით გენთება... (მცდარის ღიმილით) მერე, ვის ეკუთვნის ვინცა სმენია ხმა ეგ ამირანიანი მხურვალე გული?

მელიტონი. (გაწითლდება; იმეორებს) ოჰ, ეგ მავნე რა კითხვებს იძლევა! (შენიკოს) განაარ იცი, ვის ეკუთვნის, იგი ეკუთვნის ხალხს, ქვეყანას, ჩემ

ზემოცოვმა 6 აპრილს ს. არაბ-კანდაში მიიღო ბრძანება მაზრის უფროსისაგან, გამოჰკიდებოდა ყაჩაღებს, რომელთაც წინა ღამეს გაძარცვეს უფროდტის ქარხანა. ზემოცოვი ბრძანების მიღებისთანავე გამოეკიდა მათ და მგზავრების დახმარებით კითხვა-კითხვით მიაგნო ყაჩაღების კვალს. ყაჩაღები, რა იგრძნეს თავი განსაცდელში, საფარში გამაგრდნენ და სიკვდილამდე ბრძოლა გადასწყვიტეს. ზემოცოვმა, რა შეატყო ეს, იერიში მიიტანა მათზედ ოც-და-თერთმეტის კაცით. ყაჩაღებმა თოფის სროლა დაიწყეს და რამდენიმე ყაზახი დასჭრეს. ყაზახები მაინც წინ მიისწრაფვიბრძოლნენ და, რა მიუახლოვდნენ ხუთას ნაბიჯზედ, სწრაფი თოფის სროლა ასტეხეს. ყაჩაღებმა, რა დაინახეს რომ სიმრავლე მოპირდაპირეთა სძლევს ჩათ, შეეხდნენ ცხენებზედ, გაიქცნენ და გზა-და-გზა ესროდნენ თოფს უკან გამოკიდებულთ. ყაჩაღები სულ რვანი იყვნენ, იმათგან სამთა თავს უშველეს, ხუთი ტყვეიდ მოკვდა, ოც-და-თერთმეტის ყაზახიდგან ორი მოკვდა, ოთხი დაიჭრა და რამდენიმე ცხენი დაიკარგა.

*** მივიღეთ ქუთაისში ახალის რედაქციის მიერ გამოცემული 1 და 2 ნომერი გაზეთი „მეურნისა“. სხვათა შორის, ამ ნომრებში შემდეგი საყურადღებო წერილებია: ა) მეფუტკრეობა გურიაში—შარაშიძისა, ბ) ფუტკარი და მისი გონიერი მოვლა—წულაძისა, გ) პირველ-დასაწყისი მეურნეობა—ე. პერსონისა, თარგმნილი ი. გუნცაძისაგან, დ) ვაზის ავადმყოფობანი—ი. გუნცაძისა და ე) მანქანა, როგორც ფაქტორი წარმატებისა—პ. ლაფარგისა (თარგმანი.)

*** გაზ. „ნოვ. ობზ.“-ს სამურზაყანოდგან ატყობინებენ: „28 მარტს სოფ. ნაბაკებში კნეინა ტ. ანჩაბაძისამ თავი მოიკლა. კნეინას ტყვია შუბლში ჰქონ. და მოახვედრილი და მის ახლოს ქმრის რევოლვერი ეგდო. სიძე, რომელიც ამ შამთხვევის დროს იქ დაესწრო და თვით ქმარი ამბობენ, რომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია მიზეზი მისის თავის მოკვლისაო. დაჭრილს ადგილს ემჩნევა, რომ ტყვია შორიდგან იყო ნასროლი. მაშასადამე, რომ კნეინამ თვით მოიკლა თავი, ეს შემცდარი აზრია. ამას უნდა დავუმატოთ მისის ქმრის არა რიგიანი მოქცევა ცოლთან და არა რიგიანი წარსული მისი. ყველა ეს ეჭვსა ჰბადებს, რომ კნეინა მოკლულ იქმნა ქმრისაგან და არა თავისის ხელით“.

*** დ. ახალ-სენაკი: აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც კ. თავართქილაძეს აქვს წიგნის მაღაზია, მაღაზიასთან ერთად აქვს უფასო სამკითხველო თავისის საკუთარის ფულით დაარსებული. ყოველ წლობით 20-მდე სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებს იწერს მკითხველთათვის. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ბ-ნი კ. თავართქილაძის შრომას ჯერ-ოვნად ვერ აფასებენ—მკითხველი ძალიან ნაკლებად ჰყავს. გვიკვირს ღმერთმანი, აქაური მასწავლებელ-მოსწავლენი მაინც რად ექცევიან ასე გულ-გრილად თავისს განათლების საქმეს. ნუ-თუ მარტო აშორდნი აცხოვნებთ მათ!?

*** იქიდგანვე: დიდად შეწუხებულნი ვართ აქაურის უსუფთაობისა და ქუჩების უვარგისობის გამო. ცოტა თუ წამოწვიმა, ადამიანს გარეთ არ გამოესვლება. ყელამდის ტალახში ჩაიფლება. კარგი იქმნება, რომ ადგილობრივმა ქალაქისათვის გულშემატკივრებმა იზრუნონ რამე ამ ჩვენის ტალახიანის ქალაქისათვის.

*** ს. ქოფათა, (ოზურგეთის მაზ-

მენიკო!

მენიკო. (ამაკვე ღიმილით) კიდევ ვის?

მელიტონი. (დარცხვენილი) მეტს არავის...

შენ გეგონა ვინმე შავ-თვალ-წარბასვ? „თუ კი როდისმე კუპიდონმა მსუბუქ-ფრთიანმა
თვისი ბეჟედი ზედ დაასვა ჩემს
ტკვას, ჩემს საქმეს,
ან შემაჩვია განცხრომას და ნებივრად ყოფნას,
თუ ამირია კვალი და გზა მოქმედებისა.

ოჰ, მაშინ“...

მენიკო. (მიუსწორებს და ეურთხლაპარაკება) დეზდემონას სიყვარული ოტელოს „ვერ აურეკს გზასა და კვალს მოქმედებისას“, ის არ დაივიწყებს მას „სპათა ჯიღოსანთა, ლდთა ბრძოლათა თავ-მოყვარეობის, სათნოებათ გარდამკეველთა“, თუ იგომ იქვიანობის გესლით არ მორწყო მისი სიყვარულით მაძგერალი გული...

მელიტონი. (ხტუტცებით) ვინც თვის თავს არ ეკუთვნის, ჩემო მენიკო, ის უნდა ერიდოს ქალის სიყვარულს, თორემ ვნებანი დამათრობელის თვისებისანი არიან... ფერ დინანდ ლასსალმა, ევროპის მეშუა ხალხთა გამოჩენილმა მეთაურმა, ეიცი რა მისწერა ქალს, რომელსაც იგი გაგიჟებით უყვარდა და უნდოდა ცოლად გაჰყოლოდა: „ჩემო კარგო, სანამ გარდასწყვეტდე ჩემს ცოლო-

რა): აგერ ოთხი თვე გადის, რაც ჩვენი სოფელი იტანჯება სხვა-დასხვა გადამდებ ავადმყოფობით და ყვავილმა ხომ გაგვიჩნაგა. მაგრამ ჩვენთვის არსად არც ამცრელია და არც მკურნალი.

—

ᲨᲔᲪᲘᲚᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲝᲠᲔᲑᲐ.

გუშინდელის ნომრის ფელეტონში შემდეგი კორექტურული შეცდომებია:

მეორე სვეტის მე-16 სტრიქონში დაბეჭდილია: „მრეწველობა“, უნდა იყოს „მრეწველმა.

მესამე სვეტის მე-3 სტრიქონში დაბეჭდილია „უსაკმლოდ“, უნდა იყოს „უსაქმოდ“

მესამე სვეტის მე-13 სტრიქონში დაბეჭდილია: „რადგანაც იცოდნენ“, უნდა იყოს „რადგანაც არ იცოდნენ“.

მეოთხე სვეტის მე-17 სტრიქონში დაბეჭდილია: „Cantemporary Review“, უნდა იყოს „Contemporary Reviw.“

ᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

—

Ძ. ᲬᲣᲒᲦᲘᲦᲘ. ამას წინად ზუგდიდში მოხდა ერთი ისეთი საქმე, რომელმაც აქაურს საზოგადოებაში გამოიწვია დიდი მითქმა-მოთქმა და ცუდი გავლენაც იქონია მასზედ.

3 მარტს, დილით 8 საათზედ, აზ. ფ. ნაუყებია ¸შესულა ზუგდიდში ერთის მოვაჭრის დუქანში, რომ მოვაჭრესათვის დაებრუნებინა ვალად აღებული ერთი თუმანი. დუქანში ნაუყებიას ორი ნოქარი დახვედრია. მათთვის მას ჩაუბარებია ფული თავისის მოვახშის გადასაცემად. შემდეგ ნაუყებიას ¸ნოქრებისათვის უთხოვნია ასი მანეთის ხურდა, რა მათ უთქვამთ, არა გვაქვსო, ის გამოსულა და თავისის ბინისაკენ წასულა. ერთის საათის შემდეგ ნაუყებია მოსულა იმავე დუქანში და ნოქრებისათვის გამოუცხადებია, რომ პორტმონე, რომელშიაც მქონდა სამასი მანეთი, აქ დამრჩა და უეჭველია თქვენ გეტ-

ნებათო. ნოქრებს ერთხმად უთქვამთ, რომ ჩვენ შენი პორტმონე არ გვინახავს, ის შენ თან წაიღეო. მაშინ ნაუყებიას მიუმართავს პოლიციისათვის, რომელსაც მოუხმია გამომძიებელი და ჩვეულებრივი „გამოძიება“ დაწყებულა: ჩვენება ჩამოურთმევიათ ნოქრებისა, მომჩივანისა და მისის მოწმისათვის, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნაუყებიას ნამდვილად ჰქონდა პორტმონეში სამასი მანეთი ფული და საჭირო ქაღალდები; განაჩენს (протоколъ) განაჩენი მოჰყოლია; გამომძიებელს ნოქრები უცვნია დამნაშავედ (?), პასუხის გებაში მიუცია და კიდეც დაუტუსაღებია.

მესამე დღეს ერთმა კერძო ვექილმა, რომელიც ყველასგან ცნობილია ფრიად პატიოსან კაცად, წარადგინა პოლიციაში ნაუყებიას პორტმონე ფულიანად. აღმოჩნდა, რომ ნაუყებიას პორტმონე გზაზედ დაჰკარგვიდა, რომ ის ენახა ამ ვექილის 12 წლის მოსამსახურე ბიჭს, რომელსაც პორტმონე ხელ-შეუხებლად თავისს „ქალბატონისათვის“ გადაუცია, რადგან თვითონ ვექილი ქუთაისში რაღაც საქმეზედ ყოფილა წასული. რა გორც მოსალოდნელი იყო პატიოსანის კაცისაგან, ვექილმა ქუთაისიდგან ჩამოსვლისათანავე ფული წარადგინა პოლიციაში პატრონის გადასაცემად.

გამომძიებელმა ეს ფაქტი სულ სხვანაირად ახსნა და ვექილის ცოლი მოსამსახურე ბიაჭიანად პასუხის გებაში მისცა.

დიმ. ბ—ა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

—

ჩვენს მკითხველებს უთუოდ ეცოდინებათ, ვინ არის მამა იოანე კრონშტადტელი (სერგიევი). ამას წინად მამა იოანესთან მისულა გლეხის ცოლ-

�es დაუშვაუს...) ეხლა შენც მომეცი სიტყვა, რომ შენს გულში ამირანის ცეცხლი არ ჩაქრება და შენი ცოლი მართლა ცეცხლის მფრქვეველს მთაზედ დაიდგამს სახლს...

მელიტონი. (დარცხვენილი) გაძლევ...

მენიკო. საწინდარი?

მელიტონი. კარგი, კმარა, შეგაცდუარო!

მენიკო. საწინდარი?

მელიტონი. (ეთოიმტ არ გუგოგია) აბა ეხლა შევუდგეთ უკანასკნელს გაკვეთილს. . შენ სულ გავიწყდება, ჩემო კარგო, რომ მე დღეს საღამოს მიგდივარ რუსეთში და „გლახის ნაამბობი“ უნდა გავათავოთ. აბა მოიტა წიგნი...

მენიკო. (მიუსხდომოდგან და ჩასხეგრ-ჩუდებს ეურში) საწინდარი?

მელიტონი. (თავისთვის) ღმერთო, რა ვქნა! (ეკოტებს) ჰა, შენი საწინდარი!

მენიკო. აი ეხლა-კი შევუდგეთ კითხვას. (მიუსხდებიან სტოლს და მელიტონი ამბრებს კითხვის დაწყებას) ჰო, მართლა... კიდევ ერთი პატარა საათხოვარი მაქვს შენთან...

მელიტონი. აბა რა?

მენიკო. დღეს მამაჩემი შენ გამოსათხოვებელს საღილს გიმზადებს... მოპატიჟებული ჰყავს ბიძა ჩემი, ბიკოლა, ვარლამ ელიაძე, ჩვენი პოეტი კონდრატე და სხვები; რასაკვირველია, „რეჩების“ ნაკადულნი გარდმოჩუხჩუხდებიან... გთხოვ, ჩემ-

ბას,—კარგად იფიქრე; მე ჩემს თავს არ ვეკუთვნი... ხალხს ვეკუთვნი... წინადვე უნდა იცოდე, რომ ჩემი ცოლობა შენ ბევრს გაჭირვებას და წვალებას გამოგაცდევინებს; იცოდე, რომ ჩემი ცოლობით შენ იღგამ სახლსა ვოლკანზედ, ცეცხლის-მფრქვეველს მთაზედ“!...

მენიკო. მაშ შენი ცოლიც ცეცხლის-მფრქვეველს მთაზედ დაიდგამს სახლს?

მელიტონი. უთუოდ!...

მენიკო. ოჰ, ნეტავი მას! მენატრება მისი ბედი!...

მელიტონი. მერე რა არის ამაში სანატრელი? განა სასიამოვნოა მოსვენებას ვერ ელირსო და მუდამ წამში შენი სიცოცხლე ძიფზედ ეკიდოს?!

მენიკო. (მაცდურად ულიმის და თითს უქნევს) რა ხერხიანად მცდი, ჩემო კარგო, რა ხერხიანად! დავიჯერო, რომ მასწავლებლის გული არა სცნობდეს მოწყალესს?!

მელიტონი. მაშ კარგი, სიტყვა მომეცი, რომ მასწავლებელს ჰკითხავ რჩევას, როდესაც გათხოვებას მოიწდომებ...

მენიკო. (სახარულოთ) და ის ამომირჩევს მისთანა კაცს, რომ ცეცხლის-მფრქვეველს მთაზედ დამიდგას სახლი... გაძლევ პატიოსანს სიტყვას, მოიტა ხელი, (მელიტონი მასცემს ხელს) გაძლევ პირობას და... (უცებ ეკოტებს მელიტონს შუბლში) ამას საწინდრად... (მელიტონი შეგრთებს და დარცხვენილი თავ-

ლი ვიღაც კლიპიკოვისა და უთქვამს, რომ შენ ქრისტე ხარო. მამა იოანეს უფიქრნია: „ვაი თუ სხვებსაც ქრისტე ვგონიავრო და პეტერბურგის ერთს გზეზედ „ნოვოე ვრემია“-ში წერილი დაუბეჭდია, რომელშიაც, რასაკვირველია, ამტკიცებს, რომ მე ქრისტე არა ვარო. აი რასა სწერს, სხვათა შორის, მამა იოანე:

„ღმერთმა ხომ იცისო, სწერს იგი, არავითარი საბუთი არ მიმიცია კლიპიკოვისათვის, რომ მე, ცოდვილი და დავრდომილი კაცი, ქრისტედ ვეცინი. მეოხებითა ღვთისათა, ჩემის ხანგრძლივის სამსახურისა და მაღალის სღვთის-მეტყველო განათლების წყალობით ასე განვემტიცე მართალსა სარწმუნოებასა შინა და ვიგრძენ ჩემი შეცოდებანი და ულმურება. შეწევნითა ღვთისათა მე კარგად ვიცნობ ჩემს თავს და არც არასოდეს ამიმაღლებიეს თავი ჩემი, არამედ ვგრძობ, რომ ცოდვილი და უძლურ ვარ „უმეტეს ყოველთა უძლურთა და ცოდ ვილთა“. მიკვირს უვიცობა, უგუნურება და თავხედობა დასახელებულის დედაკაცისა. და აი ამ წერილით მინდა ვამცნო ყველას, რომ კლიპიკოვისა მაწანწალა, უმეცარი და უგუნური ადამიანია, და არც არავინ დაუგდებს მას ყურს, რადგანაც არა არს სხვა სახელი ქვეშე ცისა გარდა სახელისა იესო ქრისტესი, რომელიც აცხოვნებს ყველა მსასოებელსა, რომელის სახელითი მეცა ვთრგუნავ ცოდვათა ჩემთა და ცთუნებასა ეშმაკისასა. ხოლო იესო ქრისტე სუფევს ცათა შინა და მჯდომარე არს მარჯვენით ღვთისა მამისა და აღთქმისაებრ მარად ჟამს იმყოფების ქვეყნადაც მართალთა თანა შვილთა ეკკლესიისათა“.

ოღონდაც რომ ვიღაც კლიპიკოვისაა, წმინდა გიჟი ყოფილა. თორმე განა რა აქვს მამა იოანეს ქრისტესთან დასადარებელი? მეცხრამეტე საუკუ-

კარგო, ცოტათი თავ-შეკავებული იყო; ნუ დაეჯახები შენებურად სტუმრებს... მამაჩემს ძალიან უყვარხარ, მაგრამ არც იმას იამება სტუმრების წყენა... ხომ იცი ნათქვამია...

მელიტონი. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, განა? ეგ ბრძნული სიტყვები რუსთაველს დიპლომატიკის და მეომართა სარდლების სახელმძღვანელოდ უთქვამს, საზოგადოების უმეცრებასთან მებრძოლისათვის-კი ეგ მოძღვრება სათაკილოა... ტალეირანმა საკვეყნოდ აღიარა იეზუიტური აზრი: ენა კაცისათვის აზრის დასამალავი იარაღიაო, მაშინ როდესაც ყველასათვის თვალსაჩინოა ენის კეთილშობილური როლი!... რით გამოვსთქვამთ ჩვენს გულის წადილს, ან უწმინდესს ¸ოწვენას, თუ არა ამ იარაღით?—კარგი, კარგი, ჩემო მენიკო, ვეცდები რომ თავი შევიკავო, თუ არ აიცსო მოთმინების ფიალა... აბა შევუდგეთ კითხვას... (შედეტონი კითხულობს „გლახის ნაამბობის“ უკანასკნელს ფურცელს, მენიკო უსმენს ტრეფდ-მოგუდი; ამ დროს ვარდამ ელიაძე კარებს უმოაღებს და შეჩერდება.)

გამოსვლა მესამე.

იგივეა და ვარლამი.

ვარლამი. (ხალხისკენ, დაცინვით) ჰმ, აღფრთოვანებული მასწავლებელი და მისი თვალ-ცრემლიანი მოწაფე!.. ნეტავი რას კითხულობენ? (ეურს დაუგდებს) ჰოოო, გაბრო და თამრო!.. „გლახის ნაამბობი“... (სიჩუმის შემ-

ნეში რომ ქრისტედ აღარვის აღიარებენ, ეს ისეთი ეშმაკობაა, რომელიც ყოველს შეგნებულს ადამიანს ესმის და მაშასადამე, საჭიროც აღარ იყო ერთის გიჟის ადამიანის გამო ამხედრება, მით უმეტესს რომ გიჟისათვის ქადაგება სრულიად მეტია.

—

პეტერბურგიდგან იუწყებიან: „საქმე იმის შესახებ, თუ როგორის წესი-რიგით უნდა იქმნას გარჩეული სამხედრო და სამოქალაქო წოდების პირთა შორის მომხდარ დუელის საქმე, იანვარში სასჯულო სამინისტროს გადაეცა გასარჩევად. სამინისტრომ ამ ახალის კანონის პრინციპის წინააღმდეგ არავითარი წინააღმდეგობა არ განაცხადა, მხოლოდ გამოსთქვა წინააღმდეგი თვით პროექტით დადგენილ წესი-რიგის შესახებ და თავისის მხრივ შემდეგი რედაქცია წარადგინა:„ სამხედრო და სამოქალაქო უწყების პირთა შორის მომხდარ დუელის შესახებ თავდაპირველი გამოძიება და თვით საქმის მიმდინარეობის შესახებ ახრი ბრალმდებელმა უნდა წარუდგინოს სასჯულო მინისტრს, რომელიც, თუ შეუძლებელად სცნობს საქმის სასამართლოში გარჩევას, სამხედრო სამინისტროსა, ან საზღვაო სამინისტროსთან მოლაპარაკებით, მიეცეს თუ არა საქმეს გზა სამართლის წესით, ითხოვს უმაღლესს ნება-რთვას საქმის გასაუქმებლად. თუ რომ სამხედრო პირთა შორის მომხდარს დუელში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო პირნი (როგორც მომწმენი—სეკუნდანტნი), მაშინ თავდაპირველს გამოძიებას და აგრეთვე საქმის გარემოებას ბრალმდებელი წარუდგენს სამხედრო ან საზღვაო სამინისტროს, ვისაც ეკუთვნის დუელში მონაწილეობის მიმდები სამხედრო პირი, და თუ სამინისტრო შეუძლებელად სცნობს საქმის სამართლის წესით განგრძობას, სასჯულო მინი-

ნგში რომ ქრისტედ აღარვის აღიარებენ, ეს ისეთი ეშმაკობაა, რომელიც ყოველს შეგნებულს ადამიანს ესმის და მაშასადამე, საჭიროც აღარ იყო ერთის გიჟის ადამიანის გამო ამხედრება, მით უმეტესს რომ გიჟისათვის ქადაგება სრულიად მეტია.

—

პეტერბურგიდგან იუწყებიან: „საქმე იმის შესახებ, თუ როგორის წესი-რიგით უნდა იქმნას გარჩეული სამხედრო და სამოქალაქო წოდების პირთა შორის მომხდარ დუელის საქმე, იანვარში სასჯულო სამინისტროს გადაეცა გასარჩევად. სამინისტრომ ამ ახალის კანონის პრინციპის წინააღმდეგ არავითარი წინააღმდეგობა არ განაცხადა, მხოლოდ გამოსთქვა წინააღმდეგი თვით პროექტით დადგენილ წესი-რიგის შესახებ და თავისის მხრივ შემდეგი რედაქცია წარადგინა:„ სამხედრო და სამოქალაქო უწყების პირთა შორის მომხდარ დუელის შესახებ თავდაპირველი გამოძიება და თვით საქმის მიმდინარეობის შესახებ ახრი ბრალმდებელმა უნდა წარუდგინოს სასჯულო მინისტრს, რომელიც, თუ შეუძლებელად სცნობს საქმის სასამართლოში გარჩევას, სამხედრო სამინისტროსა, ან საზღვაო სამინისტროსთან მოლაპარაკებით, მიეცეს თუ არა საქმეს გზა სამართლის წესით, ითხოვს უმაღლესს ნება-რთვას საქმის გასაუქმებლად. თუ რომ სამხედრო პირთა შორის მომხდარს დუელში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო პირნი (როგორც მომწმენი—სეკუნდანტნი), მაშინ თავდაპირველს გამოძიებას და აგრეთვე საქმის გარემოებას ბრალმდებელი წარუდგენს სამხედრო ან საზღვაო სამინისტროს, ვისაც ეკუთვნის დუელში მონაწილეობის მიმდები სამხედრო პირი, და თუ სამინისტრო შეუძლებელად სცნობს საქმის სამართლის წესით განგრძობას, სასჯულო მინი-

დგან). ბატონყმურ ურთიერთობის ისტორია, მუშა ხალხის როლი საზოგადო ცხოვრებაში და მისი მომავალი ბედი—ეგ გახლამთ თავ-სამტვრევი კითხვა ეხლანდელის უსუსურის ბალღებისათვის! „Рабочій вопросъ“—это конекъ для неоперившихся птенцовъ! Карлъ Марксъ, Лассаль—ихъ кумиры!.. უთუოდ გრძელს ლექციას წაუკითხავდა მუშებზედ თვისს მოწაფეს სახელოვანი მასწავლებელი.. (შემოდას და შეჩერდება შუა ზალაში, მაგრამ მელიტონი და მენიკო ეურადღებას არ აქცევენ) თით ქოს ბუზი შემოფრინდაო—ვერც-კი მაგრნევენ! (ჩამოჯდება სკამზედ და მენიკოს შეაჩერდება) ოჰ, შე წყეულო, რა მშვენიერი ხარ ეგრე თვალ-ცრემლიანი! ვის არ მოჰხიბლავს, არ მოინდოდირებს მაგ ღვთიური თვალები! ვერც მე გავუძლო, მგონია, მათს ძლიერებას! სულ ერთიანად ავირიე!.. ბევრი შემთხვევა მქონია, მაგრამ არ მახსოვს, რომ ქალის წინაშე შინი მეგრძნოს, პირ-იქით, ენებათა ღელვას ჩემთვის არასოდეს არ დაუვიწყებია მამა-კაცის უპირატესობა ქალის წინაშე... შენთან-კი არ ვიცი რა მემართება!.. რაღაც გაუგებარმა მონობის გრძნობამ შეიპყრო ჩემი არსება! (ტოტა დაფიქრების შემდგ) შენ ანგელოსის ფრთის ქვეშ უნდა გქონოდა ადგილი და საუბედუროდ ურწმუნო დემონს ჩაუგდიხარ საშინელს კლანჭებში! ოჰ, თუ შეიძელ შენი დახსნა მაგ კლანჭებიდ-

ნ!.. (წამოსტება სკამდგან და ახვევდებს)

მენიკო. (გაკვირვებით.) თქვენ საიდამ გაჩნდით აქ, ბატონო ვარლამ? თქვენი შემოსვლა რომ ჩვენ არ შეგვინიშნავს!

მელიტონი. (ირონიულად) უთუოდ მეფისტოფელივით მიწიდგვენ ამოძვრებოდა!...

ვარლამი. (ხალხისკენ წენინთ) Остритъ! Мальчишка! (შენიკოს მწარის დამდადთ) წარმოიიდგინეთ კნიაგნა, რომ არც მიწიდამ ამოვმძვრალვარ, არც ქურდულად შემოვპარულვარ! აი მაგ საერთო კარებიდამ შემოვედი. (ხელს აშვერს კარებისკენ) თამამად, ბეჯითის ნაბიჯით, ისე, როგორც ყოველთვის დავდივარ... მართალია, ბუკი არ დამიკრავს... თქვენ ერთმა ჩალრმავებული იყავით კითხვაში...

მენიკო. გთხოვთ მოგვიტევოთ, ბატონო ვარლამ... აბა თქვენვე გასინჯეთ: განა შეიძლება მაგისთანა მშვენიერმა წიგნმა არ დაგვიწყოს ყველაფერი?!

ვარლამი. (ირონიულად) და თვალებს სიბრალულის ცრემლები არ მოჰგვარო!

მელიტონი. (დახედავს სასოს) ეხლა-კი ბარგის შეკვრის დროც არის... (მადის და თან მღერის) „Впередъ безъ страха и сомнѣнья“...

ილ. პონტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ აღმოსავლეთის საქმის შესახებ ამბობს:

მიკიდწეკინ-რა ჩვენს გულის წადილს და უზრუნველ-ყოფთო თავს აპირიალის მიერ აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთა ნაწილების შესახებ, ამიზედ არ უნდა გაკვირდეთ ჩვენ. მსგავლებობაში უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისმ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა სახელმწიფოთა შორის, ამიტომ მარადის უნდა ეცადოთ გაკიდე�თ მშვიდ ოკეანეს ნაპირებზედ ჩვენი მფლობელობა. ის ადგილები გაკიმდეკრთო, როგორც ეფფეტურთო, ისე მცხოვრებთა რიცხვით. ეკუდება ციმბირის რკინის გზა, მრავალი უმაწეფლო ხალხი მიაბარეფეკის ჩვენის შიდა-გუბერნიებიდგან იქით დასახლებად, მაშასადამ, მოსაკრაბის ის-და დარჩესა, რომ ყურადღებ ეუფრადღებ მიაქციოს ამ საქმეს, ეფფადეფოს გადასახდეს და კარგად მოაწყოს ახლად დამეკედრებულთა ცხოვრება.

დიალ, ეონიერულია მოსკოველ გაზეთის აზრი და რასაკვირველია, ციმბირის აუარებელი ადგილები და ჰავა უფრო შეეხამება უმიწა-წყლო რუსის ხალხს, ვიდრე შვეის-ზღვის ნოტიო და ციებ-ცხელებიანი ნაპირები, რომელიც ჩრდილოეთის კაცისათვის ნამდვილი საწამლავია.

—

გაზეთი „Standard“-ი ამბობს:

„საზღვარ-გარედ არ იყოს, რომ ინგლისს შეეძლო და ესხლტ შეუძლიან ეულ დამშვიდებით ეეეფრთ სამ სახელმწიფოთა შეერთებას. მისი ძალონე ზღვაზედ საკმოა, რომ ინგლისმა დაიცვას თავისი ინტერესები. თუ ინგლისი აღმოსავლეთიდგან უკან გამობრუნდება, მაშინ ხელი არ დაეკრება არც საფრანგეთს, არც გერმანიას და არც რუსეთს. ჩვენ სახარეულით მეკეგებენით ინგლისსა და რუსეთს შორის მეგობრობის ჩამოგდებს. როდესაც ჩვენ ეკეფბებიან, რუსეთი წინააღმდეგის ჩანეთის მიერ ადგილების დამობასა იპანიის სასარგებლოდო, ჩვენ გეკესმის მაზეზი ამ წინააღმდეგობისა, მაგრამ რაც შეგეკეხება მორალდ ჩვენ, რად ეიქნებით წინააღმდეგი, ერთის სახელმწიფოს ადგილები რომ მეორის მფლობელობაში გადაეიდეს, როდესაც ეს ჩვენს ინტერესებს არ ეხება. ეოკეველი ეეროპელი სახელმწიფო თანხმდა დაინაკეთორს იპანიამ, რაც მას უნდა, თუ ეს დასაკუთრება ხსენებულ სახელმწიფოთა ინტერესებს წინააღმდეგი არ არის. აი, ამ სახელმწიფოთა უთანხმოებაში მათს ურთიერთთა მობიერდამრე ინტერესებში გამოიხატება ძალა იპანიისა. თუ მოხდა მეორე კონგრესი, როგორც ბერლინსა, რომელზედაც სიმონოსეკის ხელ-შეკრულობა გაირჩა, დორდი კიმბერლე უარს არ იტეკის და მონაწილეობას მიიღებს.

„მოსკოვის უწყ.“ ლაპარაკობს:

ხელ-ახლად ჰღორძინებული მონგოლთა სამეკ (პეპმონგოლიაზმი) შიშ-ში აგდებს როგორც სპფრანგეთს ისე გერმანიას და სხვა ეეროპეელ სახელმწიფოთა. ინგლისი ისევ გატეტებული თავისაა ბარადის ინტერესებიო, რომ ის სრულებით მხედველობაში არ იღებს სამის ეიორებას, რომელიც მთელს სოფლიოს შეეხება. ამს მიუხედნენ საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და მთ შეერთებულის ძალით სწადიანთ გამოესარჩლენ სოფელია ეეფტურს და ეეთიდდეკობას. თუმეა ინგლისს არ უნდა სენოს თავისი შეტდომა, მაგრამ ის ეარგად ჭერმნობს, ვის მხარეზედ არის ძალა.

—

ავსტრიელი გაზეთი „Neue Freil Press“-ი ამბობს:

ავსტრო-უნგრეთი არ უნდა მიეთეკდოს ამ სახელმწიფოთა, რომელთა ინტერესი ასე თუ ისე ირღვევა ჩინეთისა და იპანიის ხელ-შეკრულობითა“.

ივივე გაზეთი ამბობს:

რომ იპანიამ ეოკეველ მხრივ არ ჩამოაღდეფოს ჩანეთის ნაწილები და მათ არ შეზღდოს იგი სხვა სახელმწიფოებიდგან, ამიზედ დიდი მსჯელობაა პარიზში piano, ბერლინში—torte და ვეტერბურგში—tortussime.

ზემოხსენებული გაზეთი ამ შემთხვევას მიაწერს იმას, რომ

რუსეთს უნდა მიაღიოს ჯიდდო თანხმობა იპანიისა. მას უნდა შეამანოს რომელიმე ნაწილი მანჯურიაში, კორეაში, ან ნაკო-სადგური ლაზარეკი. რასაკვირველია, განაკრძობს გაზეთი, გერმანია იმატომ ეწინააღმდეგება იპანიას, რომ რუსეთს ამოს, მაგრამ ინეკი ეარმოსადგენი მეგობრობა ინტერესი ერომანეთს ეწინააღმდეგებიო.

ანექდოტები ბისმარკის შესახებ,

რამდენიმე წლის წინად ხმა გავრცელდა, ბისმარკი აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ მხარისა და გერმანიის მიერ ახლად შეძენილ ადგილების დათვალიერ ებას აპირებსო. ერთი ვიღაც ახლო ნაცნობი ჩაეკითხა ბისმარკს, მართლა აპირებ ანგარა პეკენში წასვლასო?

— დიალ, უპასუხა ბისმარკმა, — პირველ და იმ აქლემით, რომელმაც ეგ ამბავი მოიტანაო.

—

ერთს ვიღაცა გამოჩენილს ვაპარს თავი მოსწონდა, რომ ბისმარკთან ძალიან დაახლოვებული ვარო. ერთხელ შემდეგის სიტყვებით მიმართა ბისმარკს:

— რა მდგომარეობაშია ამ ქუმად ეგვიპტის საქმე, ქოქვენო ბრწყინვალეკავ!

— არ ვიცი, ბატონო, დღევანდელი გაზეთები არ წამაკითხავსო,— უპასუხა ბისმარკმა.

გამოსაღები ცნობა

*** 1893 წლის, „ვიატს. გუბერ. ვედომოს.“-ში მოთავსებულია შემდეგი საყურადღებო ამბავი: ერთს აქაურს გლეხს სადღაც გაეგონა, რომ მინდვრის მატლთა გასაწყვეტად კეროსინი უებარი საშუალებაო. გახარებულმა გლეხმა მალეცა სკადა თურმე ეს საშუალება. ჩასხა კეროსინი შუშაში, ჩაიდგა და გასწია საყანე მინდვრისაკენ. გლეხმა მოასხა თურმა კეროსინი დიკის (თეთრი პეურია) თესლს და თვისი ყანა ამნაირად დასვეელებულის თესლით დასთესა. მართლაც, ეს თესლი მშვენიერად აღმოცენდა და თვის დროზედ საუცხოვო ჯეჯილიც აბიბინდა თურმე.

ამავე დროს მინდვრებში გაჩნდა მატლი და თითქმის ყველას გაუნადგურა ჭირნახეული, მაგრამ ამ გლეხის ჯეჯილს-კი ვერა დააკლო რა. მაშინ გლეხმა სხვის ჯეჯილს მოასხა კეროსინი და ახლა-კი სრულიად დარწმუნდა, რომ მატლის წინააღმდეგ უებარი საშუალება ყოფილა კეროსინი. გლეხები შემდეგ აღარასი სთესდნენ უკეროსინოდ და მართლაც სასურველი ნაყოფი თურმე მოჰქონდა იმისს ხმარებას.

კეროსინი ძალიან ცოტა უნდება თურმე: ოთხმოცს ფუთს თესლს, ანუ ნთესეს, ნახევარი ვედრო კეროსინი ჰყოფნის.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ნება მოგვეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენო „ᲒᲣᲠᲘᲐᲡ“ 15 №-ში დბეჭდილის წერილის „ᲒᲣᲠᲘᲐᲡ“ ეტორს, რომელიც განსვენებულის მდვედლის ასთიანის მეკვლეობის შესახებ სწერს. თუმცა ეტორი ისდის ბოდიშს და ნათქვამიც არის, რომ მეკვარზედ თუ კარგი არა, ტყდი არ უნდა სთქვან-რა, მაგრამ ეს წესი მაინც ეარ დაიცვა კორესპონდენტმა.

ოგ-და-სამის წლის წინად ამავე სოფელში, ამავე სახლში მოკვდეს მამა ქრისტესია ასთიანისა მდვედელი დაკეთ ასთიანი და ეკლი ეეზოვთ წინამძღოლობისა შეიტანეს კიდეკე სახლის მოსამსახურეებზედ, რომელის შიშის გამო განსვენებული მამა ქრისტესია ამის შემდეკ ერიდებოდა უცხო მოსამსახურის შან დასხდოკებას. ამ შიშით და სიფრთხილეთ ეოფო, რომ ამის ჭკნდა დიდი სიმადიდრე: სამოცის თუმნისას განსვენებული მარტო თავფასს და წინდა სასთელს ჭეიდდა წედაწაფში.

ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, მამა ქრისტესია ასთიანმა, რომელიც ამყოფებოდა კოდაკში მედგდად ამ ოცის წლის წინად, ამავე სოფელში მცხოვრებს ამბავი სასუფეკრად ეკდი ხუთასი თუმანი, რომელიც ეფო კოდაკის მრეკველზედ დარჩენილი. ეკრეოვე ამ ბოდო დროს სოფ. ეკეკინშიც რამდენსმეს ამბავი გარდასახადი.

დ. ნ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება მაბოძოთ თქვენის ეაზეთის სუფეკებით გამოეუცხადო განსვენებულის მარიამ მიქელაძის ნათესავთა და მემეკედრეთ, რომ მისგან დაკდებული ანდერძი ალსრულებაში მინდა მოეთეკანო. მობრძანდნენ და მიიღონ თავისი ეეთ-ენიდეკა თანხმად ანდერძისა. განსვენებულმა მთელი თავისი ქონება სასწეკალებლებსა, საყდრებსა და ნათესავებს დაუტოვა.

ადრეა: ეოდოეინის ბრანსპეტი, ეურეკლის მდგზია ელდიზი შეიდისა.

ანდერძის აღმასრულებელი იასონ ელიზიშვილი.

ტფილისი, 1895 წ. 19 აპრილი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საკვენტრასგან).

19 აპრილს.

პეტერბურგი, 19 აპრილს. გუშინ ხელმწიფის წინაშე წარდგენენ ბუხარის დესპანნი.

უფროსი კავკასიის ცხენოსნის დივიზიისა ტუტოლმინი დაინიშნა მეხუთე არმიის კორპუსის სარდლად.

18 აპრილს საიერიასპუნდენციო სასწავლებელს დიდი ცეცხლი გაუჩნდა, ზარალი 50 ათას მანეთზე მეტია.

დუბნო. ნახევარი ქალაქი დაიწვა. უბინოდ დარჩენილ მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია.

ვაშინგტონი, 18 აპრილს. შეერთებულის შტატების მთავრობამ გამოუცხადა სახელმწიფოებს, რომ იგი წინანდელად იმ აზრს ადგას, რათა არავითარს საქმეში არ გაერიოს, როგორც პირდაპირ არ შეეხება ამერიკას და მხოლოდ მეგობრულის რჩევით შემოსაზღვროს თავისი მონაწილეობა.

ლონდონი, 18 აპრილს. ბრიტანეთის მთავრობის აზრი ამ უკანასკნელს დღეებში შესახებ აღმოსავლეთის საქმეებისა არ შეცვლილა. შეერთებული მოქმედება ინგლისისა და შეერთებულის შტატებისა არ არის მოსალოდნელი. მხოლოდ საგულისხმოა, რომ ორნივე ეს სახელმწიფონი მეგობრულ რჩევ-ს მისცემს ორთავე მოწინააღმდეგეს ისეთს რჩევას, რომელიც თითოეულისათვის სასარგებლო იქნება. ინგლისი იმგვარადვე აუბვევს გვერდს რომელისამე კავშირის შეკვრას, როგორც ამერიკა და ეცდება მოწინააღმდეგეთ ომი ააშოროს.

ᲕᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ

	მეიდეკ-ლის.	გამეიდ-ვლის.	ყიდვის ფასი.
	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	7	40	—	„	7	48
5% . მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო საშთავად ახნაურო ბანკისა	—	„	—	„	209	1/2
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა.	101	5/8	—	„	—	„
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-ახნაურ. ბანკისა. . .	101		—	„	—	„
5% იმავე ბანკისა. .	99	1/2	—	„	—	„
6% ტფილისის სათავად-ახნაურო ბანკისა	101	„	—	„	—	„
5% იმავე ბანკისა .	99	3/4	—	„	—	„
5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო სახოგადოებისა	99	3/8	—	„	—,	

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილამობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახიერურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. ᲗᲐ. ᲩᲝᲭᲝᲜᲘ, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ᲔᲓ. ᲥᲐᲚᲘ Ს. Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲜᲘᲡᲘᲡ, 10—11 საათ. ანეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

Ა. ᲤᲐ. ᲑᲠᲐᲢᲩᲘᲜᲝᲕᲘ. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

Ს. Თ. ᲙᲐᲠᲐᲜᲪᲘᲐᲜᲪᲐ, 1—1½, საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

Ა. ᲤᲐ. ᲑᲠᲐᲢᲩᲘᲜᲝᲕᲘ, 5—6: საამბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

Ბ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜ, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

Ბ. Ს. ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½, საათამდის.

Ბ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜ. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტ-ი დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგების. სამკურნალოს საწოლიკა აქვს ავადმყოფთათვის.

დარგმელი სამკურნალოსი დოქტორი მედიციისა ნავასარდიანი.

(857—1468)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში ისყიდება ამხანაგობის ახალი გამოცემანი:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ქართულ და ევროპიელ სასწავლებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საქმელიგების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

„ᲞᲐᲡᲘᲠ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.

მაქვს **თანხა** და **სპეციალური ᲝᲪᲝᲓᲜᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲡ ᲛᲐᲪᲘᲜᲘᲡᲐ** და **ᲑᲐᲚᲜᲘᲡᲜᲘᲡᲐ**. ვეძებ მაშულის მქონე კომპანიონს, მსურს ამხანაგობა შევადგინო. მსურველთ შეუძლიანთ „ᲘᲕᲔᲠᲘᲐᲡ“ რედაქციის აღრესზედ გამოჰგზავნონ წერილები.

(6—1015—6)

მოსამზადებელი სასწავლებელი

Ი. ᲞᲐ. ᲠᲝᲖᲢᲝᲛᲐᲫᲘᲚᲘᲡᲐ

ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ-დღე. სასწავლებელი იმყოფება საღდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

„ᲡᲘᲫᲕᲐᲒᲣᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲚᲔᲑᲘ“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებულნ- და დაავადებულნი ინანსზმითა და თავ ა-ᲨᲕᲘᲗᲔᲑᲘᲡᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲘᲗᲘ.

ᲗᲘᲖᲮ. ᲓᲐᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული ᲓᲐᲠ ᲒᲐᲚᲘᲡ მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის დანის და ღონის დიდზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონია). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—2

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Апрѣля 1895 г. სტამბა ᲕᲐᲠᲯᲘᲡ და ᲨᲐᲠᲕᲐᲜᲘᲫᲘᲡ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲥᲩᲐᲕᲐᲫᲔ